საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/19645
30/11/2021

19645-2-08-2-202111301247

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 7 ოქტომბრის N10511/01 წერილის პასუხად და ასევე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, წარმოგიდგენთ კორექტირებულ დოკუმენტაციას, რომელიც მომზადებულია აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველი მაისის მიმდებარედ, მდ. ცხენისწყალზე წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების პროექტის ფარგლებში.

გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და მოგვაწოდოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი:

1. კორექტირებული სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია, სადაც გათვალისწინებულია სამინისტროს N10511/01 (7/10/2021) წერილში წარმოდგენილი შენიშვნები;
2. სამინისტროს შენიშვნებზე რეაგირების ერთიანი ცხრილი, ელექტრონული ვერსია;
3. სამინისტროს შენიშვნების საფუძველზე შესაბამისი საპროექტო ნახაზების (ნაპირდამცავი ნაგებობების განივი პროფილები) ელექტრონული ვერსია;
4. Shp ფაილები.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, ა[illegible] ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge